ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2026 წლის 16 იანვარი

სოფ. წეროვანი

„ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთნ დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის №2 დადგენილებაში (ვებგვერდი, 24.01.2022; სარეგისტრაციო კოდი: 010040000.35.150.016172) „ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის“ დანართი №1-ის მე-2 მუხლში და დამტკიცდეს თანდართული ფორმით .

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ახალგორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**

დანართი №1

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

მუხლი 2. საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ნორმა

საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მიერ კომისიის და საკრებულოს სხდომების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ზღვრული ოდენობა თითოეულ წევრზე ყოველთვიურად განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.